საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი 31 ივლისი, 2017 წ.

შ.პ.ს "ორთაჭალის ტურფა"-სთან 2017 წლის 26 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შესწავლილი იქნა ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ქ. თბილისში, მეგობრობის პარკის დასაწყისში, საცხოვრებელი კომპლექსის "ორთაჭალის ტურფა"-ს მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ასაშენებელი სახლი № 11c-ს პროექტის კონსტრუქციული ნაწილი და მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა

პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია შ.პ.ს. "ორთაჭალის ტურფა"-ს მიერ

ქალაქის სეისმიური დარაიონების რუკის მიხედვით სამშენებლო მოედანი განლაგებულია 8 ბალიანი სეისმიური აქტივობის ზონაში, ქარის დაწნევის ნორმატიული მნიშვნელობა - 55.0 კგძ/მ2, თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 50.0 კგძ/მ2

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების მიხედვით, რომელიც ჩატარებულია "ს.ს. საქქალაქმშენპროექტი"-ს მიერ2005 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, სამშენებლო მოედანი იმყოფება დამაკმაყოფილებელ პირობებში, არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევები) არ აღინიშნება. კვლევების მიხედვით შენობის საძირკვლის დაფუძნების ნიშნულზე არსებული ფუძე გრუნტი არაერთგვაროვანია და წარმოდგენილია ნაყარი და კენჭნარი გრუნტების მორიგეობით, კენჭნარი გრუნტის საანგარიშო წინაღობაა 4.5 კგძ/სმ2, დსეფორმაციის მოდული 450 კგძ/სმ2. საკვლევი უბნის მთელ ტერიტორიაზე მიწის ზედაპირიდან 1.8 მ სიღრმის ქვემოთ გამოვლინებულია გრუნტის წყლები, რომლებიც გამოირჩევიან ძლიერი აგრესიულობით ჩვეულებრივი ბეტონის მიმართ.

შენობა 31 სართულიანია ერთი სარდაფის (მიწისქვეშა) სართულით სადაც განთავსებულია ავტოფარეხი.

შენობა 11c გამოყოფილია მის მიმდებარედ განსათავსებელი შენობისაგან 11b სეისმიური და ჯდენის ნაკერით.

გეგმაში შენობა მართკუთხა მოხაზულობისაა ზომებით L=26.9მ და B=20.3 მ. მალები განივი მიმართულებით სხვადასხაა და ძირითადად არ აღემატება 6.65 მ-ს, გრძივი მიმართულებით მაქსიმალური მალია 6.6 მ. სარდაფის სართულის სიმაღლეა 3.0 მ, მიწისზედა პირველი სართულის - 5.7 მ ხოლო დანარჩენი სართულების 3.25 მ.

შენობის კონსტრუქციული სქემა წარმოდგენილია კავშირებიანი-ჩარჩოს სახით სადაც ჩარჩოს მზიდ კონსტრუქციებს წარმოადგენს მონოლითური რკინა-ბეტონის კარკასი (კოლონები, რიგელები, მონოლითური გადახურვები), ხოლო კავშირების როლს ასრულებენ უწყვეტი მონოლითური დიაფრაგმები და მონოლითური პილონები.

საძირკვლის ტიპად მიღებულია ნაბურღ-ნატენ ხიმინჯებზე დაყრდნობილი მონოლითური რკინაბეტონის ფილა ბეტონის კლასით B25 და და წყალშეუღწევადობის კლასით W8. ფილის სისქეა 1800 მმ, ხოლო ხიმინჯების დიამეტრი 1500 მმ. ხიმინჯების დაყრდნობა ხდება ძირითად ქანებზე საანგარიშო წინაღობიღობით 110.0 კგძ/სმ2. მათში არანაკლები 2.5 ... 3.0 მ ჩაღრმავებით. რ.ბ. ფილისქვეშგათვალისწინებულია B7.5 კლასის ბეტონის მომზადება სისქით 100 მმ, რომლის თავზეც გათვალისწინებულია ჰიდროიზოლაცია.

სარდაფის კედლები მონოლითური რკინაბეტონისაა სისქით 300 მმ და ბეტონის კლასით B30 და წყალშეუღწევადობის კლასით W8. სარდაფის კედლების გარე ზედაპირზე გათვალისწინებულია ჰიდროიზოლაცია მექანიკური დაზიანების საწინააღმდეგო დამცავი საშუალებით.

კოლონები (სვეტები) მონოლითური რკინაბეტონისაა კვეთით 600X600 მმ და ბეტონის კლასით B30 მე-20 სართულის ჩათვლი და500X500 მმ და ბეტონის კლასით B25 დანარჩენ სართულებზე

სართულშუა გადახურვები წარმოდგენილია მონოლითური წიბოვანი ფილების სახით, სადაც ფილის სისქეა 200 მმ, ხოლო რიგელების (წიბოების) კვეთია 400X750 მმ შენობის განაპირა ღერძებზე და 400X600 შიგა ღერძებზე..ბეტონის კლასი გადახურვებში არის B25.

სიხისტის დიაფრაგმები, ლიფტის შახტის კედლები და პილონები მონოლითური რკინაბეტონისაა სისქით 300 მმ და ბეტონის კლასით B30 მე-20 სართულის ჩათვლით და B25 დანარჩენ სართულებზე. კიბეები მონოლითური რკინაბეტონისაა ბეტონის კლასით B25

შენობის მზიდი ელემენტების კონსტრუირება დაფუძნებულია მისი როგორც ერთიანი ღეროვან-ფირფიტოვანი სისტემის გაანგარიშების საფუძველზე 8 ბალიან სეისმიურ ზემოქმედებაზე, მუდმივ, დროებით ხანგრძლივ, დროებით ხანმოკლე ვერტიკალურ დატვირთვაზე, ჰორიზონტალურ სეისმიურ და ქარის ზემოქმედებაზე და მათ საანგარიშო თანწყობაზე. გაანგარიშება შესრულებულია საანგარიშო კომპლექსის "ლირა 9.4"-ის მეშვეობით.

კონსტრუქციულ ნახაზებში მოცემულია შენობის ჩონჩხედის ელემენტების სქემები, არმირებები, დამახასიათებელი დეტალები და კვანძები. ასევე მოცემულია გამოყენებული მასალების სპეციფიკაცია და ამოკრება.

ქვაბულის მოწყობისათვის გათვალისწინებულია წყალამქცევი საშუალებების (დრენაჟი, წყალგადამქაჩი ტუმბო) გამოყენება .ქვაბულის ფუძე მიღებული უნდა იქნას ინჟინერ-გეოლოგის მიერ სათანადო აქტის გაფორმებით.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მუშა ნახაზების და გაანგარიშების ანალიზი გვიჩვენებს, რომ შენობა მთლიანობაში მდგრადია, როგორც სტატიკურ დატვირთვებზე, ასევე სეისმიურ და ქარის ზემოქმედებაზე.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მიმართ არსებული შენიშვნები შესწორებული და აღმოფხვრილი იქნა მუშა პროცესში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე საექსპერტიზოდ წარმოდგენილ ქ. თბილისში, მეგობრობის პარკის დასაწყისში, საცხოვრებელი კომპლექსის "ორთაჭალის ტურფა"-ს მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ასაშენებელი სახლი №11c -ს პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს რეკომენდაცია ეძლევა დასამტკიცებლად

ექსპერტი კონსტრუქტორი  ბ. ბარბაქაძე

ავტობიოგრაფია
ბარბაქაძე ბადრი გიორგის-ძე
ინჟინერ-მშენებელი
(კონსტრუქტორი)

დაბადების თარიღი: 15 მაისი, 1952 წელი
მისამართი: ქ. თბილისი, დიღმის მასივი,
IVკვარტალი, მე-7 კორპუსი, ბ.70
ტელეფონი: მობ. 551 13 94 15; 599 51 80 56;
ბინის 995 32 2521284

განათლება

1969-1974 წწ	საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი(ტექნიკური უნივერსიტეტი), სამშენებლო ფაკულტეტი, სპეციალობა- სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა. ხარისხი- მაგისტრთან გათანაბრებული. პროფესია ინჟინერ მშენებელი

სამუშაო გამოცდილება

1974-1999 წწ	თბილისის ზონალური საკვლევ-სამეცნიერო და საპროექტო ინსტიტუტი "თბილზნიიეპი". ინდუსტრიალური სამშენებლო კონსტრუქციების განყოფილების პრ. მთ. კონსტრუქტორი
1999-2014 წწ	სააქციო საზოგადოება "ქართუ ჯგუფი"; შპს "ინტერსერვისი" ასოციაცია "ატუ", შპს "ბურჯი",შპს "ქართუ მენეჯმენტი"- პრ. მთ. კონსტრუქტორი

შესრულებული სამუშაოების ნუსხა

1974-1990 წწ	ინდუსტრიალური სამშენებლო კონსტრუქციების სერიები: ИИС-04, 1.020.1-1с, 1.020.1-2с - პრ. მთ. კონსტრუქტორი
1984-1999 წწ	16 სართულიანი კარკასული საცხოვრებელი სახლები ქ. თბილისში და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში(ნევინომისკი, კემეროვო, ორენბურგი) - პრ. მთ. კონსტრუქტორი
1999-2008 წწ	ბიზნესცენტრი სოლოლაკის ხეივანში - კონსტრუქტორი

შესრულებული სამუშაოების ნუსხა(გაგრძელება)

2002-2008 წწ	ბ.ივანიშვილის საცხოვრებელი კომპლექსები სოფ. ჭორვილაში, დაბა ურეკში და დაბა ბაკურიანში პრ. მთ. კონსტრუქტორი
2006-2012 წწ	ქ.საჩხერის რაიონული სავადმყოფოს ახალი კორპუსები - პრ. მთ. კონსტრუქტორი
2011-2014 წწ	სარაგბო კომპლექსები ქ. რუსთავში, ქ. ქუთაისში, ქ. ფოთში ქ.ბათუმში და ქ.გორში - პრ. მთ. კონსტრუქტორი
2010-2012 წწ	საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრი აეროპორტის გზატკეცილზე - პრ. მთ. კონსტრუქტორი
2012-2014 წწ	ჰუმანას სათავო ოფისი დიდ დიღომში - პრ. მთ. კონსტრუქტორი
2010-2013 წწ	"სმარტი"-ს სავაჭრო ცენტრი ქ. ბათუმში - პრ. მთ. კონსტრუქტორი
1990-2014 წწ	მრავალი ინდივიდუალური და კოტეჯის ტიპის საცხოვრებელი სახლი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში - პრ. მთ. კონსტრუქტორი

ენები

ქართული	მშობლიური
რუსული	თავისუფლად

კომპიუტერული პროგრამები

ავტოკადი

დიპლომი

Я № 189698

ეს დიპლომი მიეცა ბარბაქაძე
ბადრი გიორგის ძეს
მასზე, რომ იგი 1969 წელს შევიდა
საქართველოს ვ.ი. ლენინის სახ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1974 წელს დაამთავრა
აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით
სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1974 წ. „26" ივნისის გადაწყვეტილებით ბ.გ. ბარბაქაძეს მიენიჭა

ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი 1974 წ. „2" XI

სარეგისტრაციო № სტ-3699

Грузинский яз.

ДИПЛОМ

Я № 189698

Настоящий диплом выдан Барбакадзе Бадри Георгиевичу
в том, что он в 1969 году поступил
в Грузинский политехнический ин-ут им. В.И. Ленина
и в 1974 году окончил полный курс
названного института

по специальности
Промышленное и гражданское строительство

Решением Государственной экзаменационной комиссии от „26" июня 1974 г.
Барбакадзе Б.Г.
присвоена квалификация
инженера-строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П.

Город Тбилиси „2" XI 1974 г.

Регистрационный № СТ-3699

Московская типография Гознака. 1972.